№ 114
ოთხშაბათი, 31 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 114
ოთხშაბათი, 31 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული და ფაქტიურად იმის კანტროლის ქვეშ მყოფი

## საზოგადოება,

რომელსაც მსურველნი იაფ-ფასად მიჰყავს 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენის სანახავად.

ამხანაგობას განსაკუთრებული საკუთარი სასტუმრო აქვს (Grand Hotel du Trocadero), სადაც მგზავრები ამხანაგობის ხარჯით სცხოვრობენ. ფასი: პირველ რიგის მგზავრთათვის ორი კვირა—200 მანეთი, ერთი კვირა—110 მანეთი; მეორე რიგის მგზავრთათვის ორი კვირა—150 მანეთი, ერთიკვირა—80 მანეთი. მგზავრი დაათვალიერებს გამოფენას და შესანიშნავ ადგილებს. კარგი მოწყობილება და სრული თავისუფლება დროს განაწილებისა.

ჩაწერა და დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოების მთავარ აგენტთან ბ. გ. კრასნიანსკისთან. ტფილისი, ბარიატინსკის ქუჩა, № 8.

მასწავლებლებს, მოსწავლეებს და სამხედროებს ნაკლებად. გამოფენაზედ წასვლა და უკან დაბრუნება იმათთვის ეღირება 100 მანეთად და უფრო ძვირად. (5—6.—5)

რადგანაც 28 მაისს დანიშნული წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების მე-15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 4 ივნისისათვის, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—უ.—1)

კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა,

თავისის ფონდის გასაძლიერებლად, 4 ივნისს ამა წლისას მუშტაიდის ბაღში გაჰმართავს

## სახალხო სეირნობას გაზრითურთ,

რისათვისაც თხოვნით მიჰმართავს ყველას, ვინც-კი ამ კეთილს საქმეს თანაუგრძნობს, დაეხმარნენ და თავისი წვლილი არ დაიშურონ, ფულით იქნება იგი თუ ნივთების შეწირვით. შეწირულებანი კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას გაეგზავნება, რეუტოვის ქუჩაზედ, საკუთარი სახლი.

კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ „საზოგადოების" კეთილის მყოფელთ, რომელთაც შემოწირულებათა შეკრება აღუთქვეს, ყოველგან თანაგრძნობით მიეგებებიან და თავისს წვლილს არავინ დაუჭერს. (3—უ.—2)

## მოლოროსსები.

საზაფხულო თეატრი და ბაღი მიხეილის პროსპექტზედ.

ოთხშაბათს, 31 მაისს, 1900 წელს წარმოდგენილი იქმნება

## ზოლოტი კაიდანი

დრამა 5 მოქმედ. სიმღერებითა და ცეკვით, თხზ. ტობოჩ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიკოვისა, ოლგინისა, პასტუხოვისა; ბ-ნნი სუხოდოლსკი, მარჩენკო, საბინინი, მირსკი, გოლადნიკოვი, გორსკი, და სხვანი.

დ ა ს ა ს რ უ ლ

დივერტისმენტი

დირექტრისა ა. ა. ორლოკი.
რეჟისორი ა. ა. სუხოდოლსკი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ბ. ბ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## საჭიროა მოსამსახურე,

რომელმაც ქართულ-რუსული წერა-კითხვა უთუოდ უნდა იცოდეს. ადრესი: „ივერიის" რედაქცია, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (3—1)

### შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შემოსწირეს:

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმა:

ნინო იმნაშვილისამ, ელენე მექანაროვისამ, ნინო მაკაცარიამ, ანასტასია გძელიშვილისამ—ნაკერი ხელის სალფეთკები; ელენე დიმიტრიევისამ—ხელსახოცი; ელენე შარვაშიძისამ—ბალდადი; ლ. სეხაზოვისამ, ევდოკია ხარებოვისამ—ნაკერი გულ-საფარები; სულხანიშვილისამ—ნაკერი სალფეტკი; ანნა ბებიევისამ—ნაქსოვი სალფეტკი; მარიამ ჩუხრუკიძემ, ნინო თაქთაქიშვილისამ—ნაკერი

## ფელეტონი

### „კვალისა" და მისის თანამშრომლების პოლემიკური მუშვენიერებანი.

(დასასრული *)

**Врачъ, исцѣлись самъ!**

„კვალის" რეკომენდაციით ბ-ნი ლალი მოუსვენარი და „უპრინციპო" პუბლიცისტია; მას შეურყეველი და მტკიცე რწმენა, პირდაპირობა არ მოეპოვება, და ქარს დააქვს ხან აქეთ და ხან იქით, იმისდა მიხედვით, თუ საიდგან დაჰბერავს იგი; კერძო, პირადი და მატერიალური ინტერესი აცვლევინებს მას საბუდარს.

„...კიდევ ერთი პუბლიცისტი
შეპარულა „მოამბეში",
სკვინჩასავით რომ დაჰფრინავს
აქეთ-იქით კალმით ხელში.

—

„ივერიის" მეთაურად
ითვლებოდა ერთს დროს ლალი,
„მაშინ ბევრ სისხლს უფუჭებდა
მას წყეული „კაპიტალი"!..

ახლა გული აღარ ერჩის
კაპიტალთან საბრძოლველად...
და გამოდის, ზნე-მაღალი,
წმინდა აზრის მქადაგებლად:

—

გულს თუ მოგხვდა სანაღველო,
აგაშფოთა, გაგამწარა,
არ წამოგცდეს არავისთან,
შიგ ჩაიკალ ისევ ჩქარა"!.. (იხ. „კვალი" № 9, 1900 წ. კურსივი ჩვენია).

როგორ ჰფიქრობთ „კვალო" და მისნო თანამშრომელნო: ამ ლექსში, თქვენის აზრით, ლალის ქება-დიდება გამოთქმული, თუ მისი ლანძღვაგინება, პირადობის შეხება და ფაქტების გადამახინჯება? „ლალი მოამბის" რედაქციაში შეპარულაო, ჰბრძანებთ... რა გინდოდათ ამით გეთქვათ? ვითომ ლალი ღირსი არ არის ჩვენის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლობისა? ძალ-ღონე და ნიჭი არ შესწევს ამ ხელობისთვის, თუ უფრო მეტის თქმა გსურთ? ე. ი. ვითომ ის, როგორც „კაპიტალის" მოყვარული, შეიპარა რედაქციაში მხოლოდ ფულების გამოსაცინცქლავად? ამ ორში, უსათუოდ, ერთ ერთს ჰფიქრობთ... და თუ ეს მართალია, ხომ ცილსა სწამებთ, მისს სულსა და გულში უწმინდურს ხელებს აფათურებთ და გსურთ დაამციროთ, დაამდაბლოთ! „კვალის" სიტყვით, ლალი აი რანაირ „ზნე-მაღალ, წმინდა აზრს" ჰქადაგებს:

„...გულს თუ მოგხვდა სანაღველო,
აგაშფოთა, გაგამწარა,
არ წამოგცეს არავისთან,
შიგ ჩაიკალ ისევ ჩქარა"...

სად, როდის დასწერა, ან სთქვა, ბატონებო, ეს აზრი „ლალმა"? არ შეიძლება „კვალის" რედაქციამ დაგვისახელოს რომელიმე ადგილი ლალის ნაწერებიდგან, სადაც ასეთი აზრი და რჩევაა გატარებული? თუ ბ-ნ ლალს ასეთი აზრი არსად არ გამოუთქვამს და „კვალმა"-კი ტყუილად თავზედ მოახვია ასეთი სილაჩრე და მშიშრობა, მაშინ რა დავარქვათ, რა ვუწოდოთ „კვალის" ასეთს საქციელს? რასაკვირველია (ვიტყვით ჟორდანიას სიტყვით) „ცილის მწამებლი და აზრების განზრახ გადამმახინჯებელი!"

ამის შემდეგ რა ზნეობა აძლევს ნებას „კვალს" სხვას უკიჟინოს ის, რაშიაც თითონ უდევს ბრალი; სხვა ჰკიცხოს იმისათვის, რაშიაც თითონ საშინლად დამნაშავეა? მაგ. ბ-ნი ჟორდანია აი რა კილოთი სწერს ერთს ადგილას. „...არ ცოდნა—არ ცოდვააო, ნათქვამია. მაგრამ ერთი რამის მიტევება-კი ძალიან ძნელია— ეს არის განზრახ ცილისწამება და ფაქტების დამახინჯება" (იხ. „კვალი", № 15, 1900 წ.). როგორ ურიგდება ერთმანეთს ვითომ-და ეს ზნე-მაღალი სიტყვები ბ-ნ ჟორდანიასი და უზნეო საქციელი თვით ამ ვაჟბატონისა (როგორც რედაქციის გამგესი)?

მაგრამ ბ-ნმა ჟორდანიამ შეიძლება გვითხრას: რას გადამკიდებიხართ, ეს ლექსი, სადაც ლალია მასხარად აგდებული, ჩემი ხელ-მოწერილი ხომ არ არისო? თქვენი არ არის, ბატონო, მაგრამ თქვენს ნებართვით და მოწონებით ხომ არის დასტამბული? ისიც შესაძლოა, რომ ეს ლექსი თქვენის თხოვნითაც იყოს დაწერილი... ამის საბუთს გვაძლევს თქვენი წერილი „ბ-ნ ლალს" (თუმცა ეს წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ თქვენია), სადაც თქვენ იმავე აზრებს იმეორებთ, იმავე ბრალსა სდებთ „ლალს", რაც „მოამბის მკითხველი" თვის ხელისხელ საგოგმანებელ ლექსებში. აი თქვენი სიტყვები:

„დიახ, შესანიშნავი ვინმე ყოფილა ბ. ლალი. გეცნობათ მისი ამბები: მას ჟამსა შინა ის „ივერიაში" ებრძოდა „კაპიტალიზმს", შემდეგ „ახალ-მიმოხილვაში" გამოესარჩლა კაპიტალებს და ახლა „მოამბეში" ისევ დაუწყია ბრძოლა... ვისთან— ჯერ კარგად არვინ იცის, უთუოდ როგორც მოუხდება, ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ. დღეს-დღესეულობით-კი მიზანში „კვალის" თანამშრომლები და მკითხველები ამოუღია და დაჰკარი მაგათაო, გაიძახის. და მერე რატომ ესე გაგვრისხებია ეს ბუმბერაზი? რ ა ტ ო მ  დ ა  რ ო გ ო რ  გ ა ბ ე დ ე თ  დ ა  ს თ ქ ვ ი თ  ი ს, რ ა ს ა ც  ფ ი ქ რ ო ბ დ ი თ ო! (ხაზ-გასმული ავტორისაა) (იხ. „კვალი" № 9).

ამ ნაირად, როგორც დაინახა მკითხველმა, „მოამბის მკითხველი" და ბ-ნი ჟორდანია ერთსა და იმავეს მღერიან, ერგვარად ცილსა სწამებენ ლალს და მისს სიტყვებს ამახინჯებენ.

მერე რად დასჭირდათ „კვალს"

*) იხ. „ივერია" № 113.

პირსახოცები; ეკატერინე ბერიშვილისამ, ბარბარე ბაირამოვისამ, ვალენტინა ნასიძისამ, სიდონია დეკანოზიშვილისამ, ოლგა ბაკურაძისამ—ბავშვის ჩითის კაბები; ანნა სიხარულიძისამ, იულია ბერიშვილისამ, ანნა კობახიძისამ, მინადორა კასრაძისამ, ნინო დეკანოზიშვილისამ—ჩითის ხალათები; ოლგა გულისაშვილისამ, ეკატ. ჩაგუნავამ, კოკოევისამ — ჩითის წინსაფარები; ვერა კაძრაძისამ, ე. კუზმინისამ, კაპ ტიაყალოვისამ—კალათები; გულიშვილისამ, მღებრიშვილისამ, ო. შენგელიამ, ნ. ივანოვისამ, ვერა მთიულოვისამ, აბელინა იოსელიანისამ—ხამლატკები; ან. ტიაყოლოვისამ, მარიამ ჩაგუნავამ—ჩარჩოები; ჯინჯიხაძემ, ანნა ბელიევისამ, მარიამ ჩორბაძემ, ალექსანდრე ქართველიშვილისამ—საათის უბეები; ანნა ნოზაძისამ, თამარა მახათაძისამ — ნაკერი პარკები; ბანდუჟენკომ—სანემსე; ნინო პანამაროვისამ—ნაკერი ბალიში ქინძისთავებისათვის; ანასტ. ბუიძისამ—ლამფის დასადგმელი ნაქსოვი; მარიამ უგრელიძისამ, კოპარ-ოლგამ—ლამფის დასადგმელები ნაქსოვი; ვერა კასრაძემ, ე. კუზმინამ, კაპიტოლინა ჩიყალოვისამ—კალათები; ბარბარე ქარუმიძისამ, ნინო მირიანაშვილისამ ?—, ?—გარუსით ნაკერი ფეხსაცმელი; არგანანოვისამ, ელ. საბედაშვილისამ, ხახუტაშვილისამ, დეკანოზიშვილისამ, ქაჯაიასამ—ხილის სალფეთქები ნაკერი; ეკატერინე მშველიძისამ—ნაქსოვი პარკი; ლეონიძისამ, ლოსაბერიძისამ, დ. ლუკიანოვისამ, ბარბარე გარსიაშვილისამ, მარიამ ჯაჯანიძისამ, ნინო აივაზოვისამ—ხილის სალფეთქები ნაკერი.

—

კნ. ეფემია ფარსადანის ასულმა ტუსიშვილისამ—სამი ნივთი, ორი მარჯნის გულის ქინძისთავი, ერთი ვერცხლის გულის ქინძისთავი; კნ. ალექსანდრა ნიკოლოზის ასულმა ანდრონიკაშვილისამ—10 ბოთლი კახური ღვინო; კნ. სოფიო ალექსანდრეს ასულმა ბუჭყიაშვილისამ—22 ნივთი; თებრონია ჭრელაშვილისამ—6 ჩაის ჭიქა, 1 ბროლის შანდალი, წყვილი როზეტკა შანდლისა, თავშალი, პერანგის მოსავლები, 7 არშინი კრუჟევა და ერთი გლიცერინის საპონი; ტფილისის მეაფთიქეთა საზოგადოებამ—11 ფლაკონი დუხი და ორი ყუთი საპონი; კნ. დარია რამანის ასულმა ჭავჭავაძისამ—5 სხვა-და-სხვა ნივთი; მაკრო იოსების ასულმა ყავრიშვილისამ—ორი პატარა ქანდაკება; კონსტ. იოსების ძე ყავრიშვილმა—ორი ფაიფურის ვაზა, ერთი საკარაქე, სამი ფაიფურის თეფში; ილია ხარაბაძემ—ერთი მშვენიერი კედლის ეტაჟერკა; ეკატერინე თევდორეს ასულმა ასათიანისამ—სირმითა და გარუსით ნაკერი ბალიში; „კახეთის" ამხანაგობამ—30 ბოთლი ღვინო.

# ახალი ამბავი

*** 28 მაისისათვის დანიშნული წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა. კრება მომავალ კვირის, 4 ივნისისთვის გადაიდო.

*** შარშან სეტყვისაგან დაზარალებულ გორის მაზრის მემამულეთა თხოვნის თანახმად, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს უკვე განუხილავს ყველა თხოვნა (ასოცამდე) და ზარალის მიხედვით შემწეობა აღმოუჩენია 25-დგან 300 მანეთამდე. დანარჩენს თხოვნებსაც მალე დააკმაყოფილებს.

*** გუშინ, 30 მაისს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე პეტერბურგში წავიდა.

*** როგორც მარტყოფიდგან გვატყობინებენ, მისს მახლობლად მდებარე სოფლებში ყველგან კარგი პური თურმე უჩანს მოსავალს.

*** ხუთშაბათს, 1 ივნისს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით, კრება ექმნება ახალქალაქში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს.

*** რათა სასოფლო სამეურნეო სკოლების შემწეობით უფრო ადვილად შეიძლებოდეს სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელება ხალხში, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს შემოიღოს ამ სკოლებში განსაკუთრებული სამეურნეო გამოფენანი, რომლებზედაც კერძო კაცებსაც შეეძლებათ ექსპონატების გამოფენა. ამავე გამოფენებზედ გაიმართება კითხვები და საუბრები სასოფლო-მეურნეობის შესახებ; აგრეთვე გამოსცდიან სამეურნეო იარაღს და აჩვენებენ სოფლელთ როგორ უნდა ამ იარაღს მოხმარება. საჩუქრებად საუკეთესო ექსპონატებისათვის მოწაფეებს მიეცემათ სასოფლო სამეურნეო შინაარსის წიგნაკები, სამეურნეო იარაღი, ახალის სისტემის სკები და სხვ. კერძო კაცებს მედლებითა და ქების ფურცლებით დააჯილდოვებენ. ასეთი გამოფენები თვით მოსწავლეებმა უნდა გამართონ ხოლმე.

*** გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გამრავლებულ იქმნას რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელთა რიცხვი. ამას გარდა აზრადა აქვთ ამ სასწავლებლებისათვის ახალი პროგრამაც შეიმუშავონ.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს მეტად ხშირად ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და გაზეთები, ღვინოს აქციზი შევაწეროთო, ამისათვის ხერსონისა და ბესსარაბიის საერობო კრებებზედ დაუდგენიათ და კიდევაც უთხოვნიათ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის, რომ ეს აზრი მართლა არ განახორციელონ, რადგანაც ჯერ-ედ სუსტს რუსეთის მეღვინეობას დიდ ზარალს მოუტანს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელს საზოგადოებას ამ წარსულ 1899 წ. 7,465 მ. და 39 კ. წმინდა მოგება ჰქონია, რომელიც საზოგადოების წევრთა შორის იქმნება განაწილებული.

*** მოსკოვის საპედაგოგიო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებას ნება მიეცეს საბუნების-მეტყველო საგნების მასწავლებელთა კრება მოახდინოს.

*** უმაღლესს სასულიერო მთავრობას განზრახვა თურმე აქვს ყველა სასულიერო სემინარიაში გამართოს მოწაფეთათვის საზოგადო საცხოვრებელი სახლი.

*** 26 მაისს მომხდარმა ქალაქის გამგეობისა და ხმოსანთა კომისიის წევრთა შეერთებულმა სხდომამ შესაძლებელად სცნო, რომ ყორღანოვისა და ალიხნოვის ტრამვაი ბელგიის უსახელო საზოგადოებას გადეცეს იმ პირობით კი, რომ ქალაქს უფლება ჰქონდეს 4 წლის შემდეგ, თუ მოისურვებს, ეს ლიანდაგი გამოისყიდოს.

*** რადგანაც, ქალაქის მოურავის განკარგულებით, ამიერიდგან ალექსანდრეს ბაღის შუა და ზემო ნაწილი სუფთად ჩაცმულ საზოგადოებისა და ბავშვების სასეირნოდ არის დანიშნული, ტფილისის კომენდანტს გენ.-მაიორს ი. ნ. რეიტერს უბრძანებია, რომ ჯარის-კაცებმა ბაღის ამ ნაწილში არ ისეირნონ ხოლმე.

*** ტფილისის პოლიციაში მსახურთა შემნახველ-გამსესხებელ კასსის ახალი წესდება შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია.

*** ტფილისის ქუჩების მოსაკირწყლავად ჩელათის ქვის ჩამოტანა 26 მაისს მომხდარ საჯარო ვაჭრობით ბ-ნს მაჰვარიანს უკისრნია; ამ ახალის პირობით ქალაქმა თითოეულ კუბიკურს საჟენ ქვაში 17 მ. 35 კ. უნდა მისცეს.

*** პირველ ივნისიდგან 1-ლ სეკტემბრამდე ტფილისის სახაზინო პალატასა და ხაზინებში სამსახური დილის 8 საათიდგან დაიწყება. ფულის ჩაბარება მხოლოდ 12 საათამდე შეიძლება, გამოტანა—პირველამდე.

*** რადგანაც ავლაბრის ხიდის ფიცრები სრულიად გამცვდარა და დამპალა და სიარული ხიდზედ საშიშოა, ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს კავალევს ქალაქის მოურავისათვის უცნობებია, რაც შეიძლება მალე შეამოწმებინეთ ხიდი ტეხნიკოსებსა და შეაკეთეთო.

*** როგორც „ცნ. ფურც".-ს ატყობინებენ, ფოთის ქალაქის თვითმმართველობის მდივანი ვ. ა. დემიდოვი თავს თურმე ანებებს თანამდებობას, რადგანაც სახელმწიფო სამსახურში გადადის, ხოლო მის მაგიერ ფოთის ქალაქის გამგეობის მდივნად ასახელებენ უნივერსიტეტში შარშან კურს-დამთავრებულს ბ-ნს ა. კანდელაკს.

*** ივნისის პირველ რიცხვებში კავკასიაში ჩამოვა სამკურნალოდ ბუხარის ემირი.

*** სოფ. იყალთო (თელავის მაზრა). 18 მაისს, კნეინა ა. ნ. მაყაშვილის თაოსნობით აქ გაიმართა ქართული წარმოდგენა, რომელზედაც გლეხკაცობა ჯგასოდ იყო მიწვეული, და ბევრნიც დაესწრნენ. წარმოადგინეს: 1 „დატრიალდა ჯვარა"—ყიფიანისა, „თავვი მეგონა"—აწყურელისა, და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია"—გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ: კნეინა ქ. ზ. მაყაშვილისა, კნ. ს. გ. მაყაშვილისა, კნ. ს. გ. მაყაშვილისა და მ. სუხიევისა; თავ. ა. ზ. მაყაშვილი, თ. მ. გ. მაყაშვილი, ბ-ნნი დ. მ. აწყურელი და მ. აჯამამუდოვი.

იმავე კნეინა ა. ნ. მაყაშვილის დახმარებით დაარსდა აქ წიგნთ-საცავი.

*** სოფ. ბერო (ლეჩხუმის მაზრა). 19 მაისს გლეხმა ნ. პ—მა ბერდანკით მოჰკლა გზაში მომავალი გლეხი ბ—მა გ—ნი. მიზეზი ის ყოფილა, რომ განსვენებულს ამ რამდენისამე წლის წინათ მოუკლავს ჩუმად ამ პ—ნის მამა და ეხლა შვილმა ჯავრი ამოიყარა. დამნაშავე შეიპყრო მაშინვე სვანეთის ბოქაულმა და გამოძიებას სწარმოებს.

აქეთ ამდენს ხანს დიდი წვიმები იყო, რამაც ვენახის წამლობას შეუშალა ხელი. ერთს სოფელში, სახელდობრ ოყურეშში, ორს მოსახლეს მამული მთლად აუხმა. საჭიროა ღონისძიება რამ მიიღონ, რომ სხვაგანაც არ გადავიდეს ეს ვენახის მომსპობი ჭირი.

*** რედაქციამ მიიღო მე-V № „ჯეჯილისა". შინაარსი: 1, გულ-დაკოდილი ხატო—ლექსი, ვაჟა-ფშაველასი, 2, გულქანის დედოფლები (მოთხრობა)-თ. რაზიკაშვილისა, 3, სამი ქურდი—განო ლორთქიფანიძისა, 4, მცირე რამ სათხოვარი—(თარგმანი) ბ. კაშაძისა, 5, ორგვარი ნატვრა (იგავი)—ი. ა—სა, 6, მერცხალი (ლეგენდა)—ანანისა, 7, ჩვენი ერთგული მეგობარი—ი. ა—სა, 8, გაზაფხული—(ლექსი) დ. თომაშვილისა, 9, მდინარე—ბახანასი, 10, ყმაწვილების თვით-მოქმედება ამერიკაში—თარგმანი სამსონ საბამიოელისა, 11, მოწყალე დოქტორ—დ. თომაშვილისა, 12, ჰაერში ფრენა (ჰაერონავტიკა)—ილიკოსი, 13, პატარა მკითხველების წერილები, 14, წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, სიტყვების ამოცანა, უჯრების გამოცანა, შარადა, რებუსი.

*** რადგანაც ხელახლად სახაზინო საქონლის დახოცვამ დაიწყო, რომ გირჩავთ ხორცი ახლად დადგენილ ნიხრზედ გაყიდოთ ძვირად ჯდება, ე. ი. 10 მაგიერად 9 კ., ამისათვის გამგეობას მოხსენება შეუდგენია და მალე საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

---

და მისს თანამშრომლებს ასეთი ცილისწამება და აზრების გადამახინჯება?

იმისთვის, რომ შური ეძიათ ბ-ნ ლალისთვის... რა დანაშაულისთვისაო? იკითხავთ. იმისთვის, ბატონებო, რომ ლალმა დაჰგმო „კვალის" და მისის ბელადის საქციელი გ. წერეთლის დასაფლავების დროს მომხდარ „შემაძრწუნებელ განგაშის გამო".

ლალის ასეთმა თავხედობამ ბ. ჟორდანია გააბრაზა, გააწიწმატა და აი რა ღირს-შესანიშნავი ტირადა დააწერინა:

„ხალხი თურმე უზნეოა იმიტომ, რომ გულ-წრფელია (ვინ სთქვა ეს, ბ-ნო ჟორდანიავ? ეს ხომ უსირცხვილო ცილის-წამებაა?); ბ. ლალი-კი ზნე-მაღალია იმიტომ, რომ გულ-ჩახვეულია; ხალხი თურმე უსირცხვილოა (ეს ვისი სიტყვები მოგყავთ? ანუ რომელ ხალხის შესახებ ჰლაპარაკობთ? მეწვრილმანე კირვალიძის შესახებ?..) იმიტომ, რომ უზრდელობას ებრძვის, ბ-ნი ლალი-კი სირცხვილის კაცია იმიტომ, რომ უზრდელობას იფარავს... ერთის სიტყვით, ბ. ლალს და ხალხს შორის დიდი უფსკრულია, ერთის მხრით დგას თვითონ ის თავის კლიენტებით, მეორე მხრით კი ხალხი... დეე, იყოს თქვენი ზნეობა ფარისევლობა, თქვენი ტაქტიკა ლაზღანდარობის მფარველობა" (იხ. „კვალი", № 9).

რა უნდა ეფიქრა „კვალის" მკითხველს ლალზე ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ? რა წარმოდგენა უნდა შეედგინა მისს ზნეობის შესახებ? ის თურმე „გულ-ჩახვეულია", უზნეოა და უზნეობას იფარავს და ზნე-მაღლობას ებრძვის, ერთი სიტყვით—„ყბად ასაღები და და წყალ-წასაღები" ვინმე ბრძანებულა საწყალი ლალი!

რასაკვირველია, ასეთს ზნეობით მდაბალ მწერალს რა უნდა დაეჯეროს? მისი ყოველი სიტყვა და აზრი ცრუ და უსირცხვილოა... აი რა ზნეობრივი სურათი ჰსურდა დაეხატა „ლალისა" ბ-ნს ჟორდანიას მკითხველის წინაშე!

ეს არის ლიტერატურული ეთიკა? ამასა ჰქვიან პოლემიკური ზომიერება და ზნეობა? ეს არის აზრთა შეტაკება და მოწინააღმდეგის საფუძვლიანად მხილება?

ასეთის ცილის წამებისა და ჭორების შემწეობით რათ იკადრეთ ბრძოლა სხვათა წინააღმდეგ, ბ-ნო ჟორდანიავ? თქვენ არ დასტირით ჩვენი პრესის გათახსირებას, ლიტერატურულ უზნეობას, პირადობის შეხებას, ცილის წამებას, ფაქტების გადამახინჯებას?

და თუ ამას დასტირით, მაშ რა სინიდისი გაძლევთ ნებას სუყველაფერი ეს ლიტერატურული „სისაძაგლე" („კვალის" ტერმინია) თითონვე ჩაიდინოთ?..

„Врачъ, исцѣлись самъ!"

ჯერ თქვენვე განიკურნეთ სენისაგან, თქვენვე განსპეტაკდით ზნეობრივად, თქვენვე დაიცევით ლიტერატურული ეთიკა, თქვენვე ნუ გადააჭარბებთ მართებულობის საზღვარს, თქვენვე ნუ სწამებთ ცილს სხვას და აზრებს ნუ ამახინჯებთ, თქვენვე ნუ იგინებით „ავლაბრულად" და მერე მოსთხოვეთ სხვებს წესიერება, ზომიერება, ზნეობა, პატიოსნება...

მაშინ თქვენს სიტყვას ფასი ექმნება; მაშინ გექნებათ ნება მართლა სხვას ასწავლოთ, დაარიგოთ!..

ახლა-კი უკაცრავად!..

გავახსენოთ მკითხველებს, თუ როგორ მოექცა „კვალი" ბ. „ვ. წ."-ს:

„ვ. წ."-ლმა „ივერიაში" გამოსთქვა თავისი აზრი „კვალის" და მის თანამშრომელ ჟორდანიის შესახებ. პირველ „ვ. წ."-ლის წერილში ადგილი არ ჰქონდა არც პირადობის შეღახვას, არც ცილის-წამებას, არც ფაქტების გადამახინჯებას, არც ლანძღვა გინებას. ავტორი სწორედ რომ თავისს წმინდა რწმენას და აზრ-ფიქრს უზიარებდა მკითხველებს...

მაგრამ რა? „კვალი" მას კვალისებურად მიეგება: თავისებურად „ვ. წ."-ლს „ვიღაც" უწოდა (ვიმეორებ, ეს სიტყვა „კვალს" ძლიერ მოსწონს და როდესაც ვისმეს დამცირება უნდა, „ვიღაცა"-ო მიაძახებს) და მერე „კვირიდან კვირამდის" უკბილო სატირის მსხვერპლი გახადა. დამჯდარისა და აზრიანის პასუხის ნაცვლად, „კვალმა" თავის „კვირიდან კვირამდე"-ში მასხარად, სასაცილოდ აიგდო ბ-ნი ვ. წ.-ლი, თუმცა იგი მასხარად ასაგდები არ იყო.

ბ-ნ „ვ. წ."-ლის წინა წლებში „ივერიაში" დასტამბული წერილები პრემიათ მიეცემა იმას, ამბობს „კვალი", ვინც ამ წლის „ივერიაში" დასტამბულ მისს წერილების აზრს გამოიცნობსო. ე. ი. „ვ. წ."-ლი ისეთ უაზრო წერილებსა სწერს, რომ მათი აზრის გაგება ძლიერ ძნელიაო.

მაგრამ რითი აღინიშნა ეს უაზრობა, ეს უშინაარსობა „ვ. წ."-ლის წერილებისა—„კვალი" არ ამბობს, „ვ. წ." შეცდომას არ უსწორებს, მხოლოდ სასაცილოდ იგდებს და ერთის კალმის მოსმით ჰსურს მიწასთან გაასწოროს.

საყურადღებო ის არის, რომ ბ-ნი ჟორდანია თითონ არ გარჯილა პასუხი გაეცა „ვ. წ."-ლისთვის; მხოლოდ მას თავისი შინაყმები მიუსია და (ამა რიცხვს უნდა გამოვაკლოთ ბ. ა. წულუკიძე, რომელმაც ბ. „ვ. წ."-ლის წერილებს შედარებით დამჯდარი, ზომიერი და არ ლანძღვაგინებით და ბაქი-ბუქით აღსავსე, შენიშვნა უძღვნა). რისთვის? იმისთვის, რომ აბა ჟორდანიასთანა სახელოვან და გენიოს პუბლიცისტს როგორ ეკადრება „ვიღაც" „ვ. წ."-ლს გამოელაპარაკოს, კამათი დაუწყოს? ეს ხომ თავის დამცირება იქნება? რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ როგორც შევიტყეთ, შორაპნის მაზრის სახსრის ნაწილის ბოქაული ბ-ნი პოდგორნი საგუბერნიო მთავრობას უკვე დაუთხოვნია თანამდებობიდგან.

⁂ ქ. ტფილისის მე-VIII ნაწილის პოლიციელმა თედორე კოსტიჩენკომ 26 მაისს მარტყოფის ქუჩის დათვალიერების დროს ნახა, რომ შუა ქუჩაში ვიღაც დაჭრილი კაცი გდია. ეს კაცი ტფილისის მცხოვრები პეტრე ლოლაძე აღმოჩნდა. როგორც აღმოჩნდა, ლოლაძე ჩხუბის დროს დაუჭრია კულო მურადოვს, რომელიც ჯერ-ჯერობით დამალულია.

⁂ ორშაბათს, 29 მაისს, პოლიციის მე-10 ნაწილში, საღამოს 5 საათზედ, დამოენის ახლო, სარატოვის მოქალაქის მეუღლემ ელისაბედ იაკობის ასულმა პოტტმა რევოლვერით მძიმეთ დასჭრა მარცხენა გვერდსა და თვალში პლოცკის გუბერნიის მცხოვრები გლეხი პავლე პეტრეს ძე კრიპციინი.

## ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური კრება.

(დასასრული *)

იოსებ ქუთათელაძე. თავიდგანვე, რა რომ ამხანაგობა დაარსდა, გამგეობამ მიჰყო ხელი ყიდვა და გაყიდვის საქმეს: იძენს იაფ ფასად თესლს, ნედლ პარკს და ჰყიდის დიდს ფასად. ასე რომ ჯერ-ჯერობით ის მოგებაშიაც არის, მაგრამ, ჩემის აზრით, თუ ამხანაგობის წარმოება ამნაირ წეს-რიგზედ იქნება დამყარებული, ადვილად შეიძლება, რომ ერთს დროს იგი გაუქმდეს. ამ ჟამად ხონის ბაზარში იყიდება სულ 25—30 ათას ფუთამდე ნედლი პარკი. ამ რიცხვიდგან ამხანაგობა ყიდულობს 3—4 ათას ფუთამდე. ასე რომ პარკის კერძო მყიდველებს (მათში არიან იმისთანებიც, რომელნიც 6—10 ათას ფუთამდე ყიდულობენ) ჯერ არ ეშინიანთ ამხანაგობისა და როცა ამხანაგობის წარმოება იმდენად გაძლიერდება, რომ „მეტოქეობას" გაუწევს მათ, მაშინ-კი ყველა მათგანი ეცდება დასძლიოს იგი და გააუქმოს. ამ აზრის მისაღწევად შეუძლიანთ შეჰკრან პირობა, რომ ნედლის პარკის ფასი ასწიონ ერთი-ორად (22 მან. ფუთზე). რასაკვირველია, ამხანაგობა იძულებული იქმნება იყიდოს ამ ფასად როგორც წევრისა, ისე არა-წევრისაგან ნედლი პარკი, თორემ ის აუარებელი ხარჯი, რომელიც მას მოსდის ყოველ წლივ, დაეღუპება. ადვილად წარმოსადგენია, ამნაირ ფასად ნედლის პარკების ყიდვას რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამხანაგობის კეთილდღეობისათვის. პარკის სხვა მყიდველებისათვის-კი ეს ზარალი მეტად შესამჩნევი არ იქნება, რადგანაც მათ შეუძლიანთ გაინაწილონ იგი ერთმანეთ შორის. შარშან-წინ, მაგალითად, ძლიერ დიდი ზარალი ჰნახა თითოეულმა მათგანმა, მაგრამ შარშან სამაგიეროდ თუმანზე თუმანი მოიგეს. ჩვენ ამხანაგობის ცხოვრებაში რომ არ მოხდეს ასეთი შემთხვევა, აუცილებლად საჭიროა დაევალოს ყველა მეაბრეშუმე წევრს მოიტანოს თავისი მთელი პარკის მოსავალი ამხანაგობის ფარდულში და ჩააბაროს გამგეობას გასასყიდად, რასაკვირველია, ფას-დაუჭრელად. როცა ხმელი პარკი გაიყიდება, გამგეობა დაუბრუნებს მას, ცოტა საკომისიოსა და სხვა ხარჯის გამორიცხვის გარდა, იმ ფულს, რასაც აიღებს პარკში. რადგანაც პარკის მოწევის დროს ყველა თქვენგანს ძლიერ ეჭირვება ფული, ამისათვის გამგეობა მოვალე იქნება მოგცეთ ნედლის პარკის ჩაბარების დროს ერთი ან ორი მესამედი თქვენის პარკის ღირებულობისა. ყველა ეს, რაც ეხლა მოგახსენეთ, ახალი არ არის, ძველია. წარსულ წლის კრებასაც მოვახსენე ამის შესახებ ჩემი აზრი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამ აზრს ამხანაგობის მმართველ ბ-ნ ნ. წერეთელში ვერ უპოვია სასურველი თანაგრძნობა, თუმცა, როგორც ანგარიშიდგან სჩანს, სულ მთლად არ იქმნა დატოვებული და, ცოტად თუ ბევრად, პრაქტიკულად გამოსცადა იგი. ამისათვის გირჩევთ, რომ რადგანაც შარშანდელ მაგალითს კარგი შედეგი მოჰყვა, წელსაც ვისარგებლოთ იმითი და წესდებაშიაც შევიტანოთ, რომ ყველა წევრისათვის სავალდებულო იყოს, როგორც „კახეთის მევენახეთა" საზოგადოებაშია შემოღებული. წარსულ წელს შეიძინა ამხანაგობამ 6 ათასი ფუთი ნედლი პარკი, თუ ჩემ მიერ ნაჩვენები რიგი იქნება შემოღებული, მაშინ ექვსჯერ და ათჯერ მეტს მიიღებს იგი.

ნ. წერეთელი. მართლაც კარგი აზრია იოსებ ქუთათელაძის აზრი და შარშან ამნაირი წეს-რიგით პარკის შეძენამ ძლიერ შეღავათი მისცა ამხანაგობას. თითქმის 27—30 ათასი მანეთის პარკი იყო ამნაირად დატოვებული მეაბრეშუმეებისაგან, რომელთაც ხმელის პარკის გაყიდვის შემდეგ მიიღეს 16 მანეთი ფუთში. მაგრამ სავალდებულოდ შემოღება ამ წესისა, შეიძლება უხერხული იქმნეს წევრებისათვის.

ასეთივე აზრი წარმოსთქვეს ზოგიერთმა წევრებმაც.

იოსებ ქუთათელაძე. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგან სჩანს, რომ ამხანაგობას ძლიერ დიდი პროცენტის ($22^{0}/_{0}$-ზე მეტი) სესხი აუღია. რამდენისამე თვის განმავლობაში ამხანაგობა იხდის 6,000 მან. სარგებელს! არც ერთს სავაჭრო დაწესებულებას არ გადაუხდია ამოდენა სარგებელი სესხში. თავიდგანვე მარტო კიევის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილებასთან აქვს გამგეობას საქმე და, რასაკვირველია, გადაგვახდევინებს იმდენს, რაც მას ჰსურს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ტფილისის სამეურნეო ბანკი უფრო ნაკლებ სარგებლით გვასესხებს ფულს, და უსათუოდ დავავალოთ გამგეობას, რომ შეჰკრიბოს ცნობები ამ მოკლე ხანში, რა და რა პირობებით შეიძლება იქიდგან სესხის გამოტანა. წელს სამეურნეო ბანკის წლიურ კრებაზედ გვქონდა ამის შესახებ მოლაპარაკება და კრებამ დიდი თანაგრძნობა გამოაცხადა ამის შესახებ და დაავალა ბანკის გამგეობას ყოველივე დახმარება გაუწიოს სხვა-და-სხვა მწარმოებელთა ამხანაგობას და ამასთანავე შეჰკრიბოს ცნობები, რომელ ამხანაგობაზედ რა და რა პირობებით ან შეღავათით შეიძლება სესხის გაცემა. ეს ცნობები ბანკის გამგეობამ უნდა წარუდგინოს (რამდენადაც გვახსოვს) ამ მოკლე ხანში საგანგებო კრებას; და ამისათვის კარგი იქნება, რომ ამხანაგობამ მიაწვდინოს ბანკს ყოველივე ცნობები და სთხოვოს სესხი.

სამწუხაროდ, ვერც ერთის ამ ფრიად საინტერესო კითხვის განსჯა და რამე დადგენილების მოხდენა კრებამ ვერ მოახერხა. თავმჯდომარე პირდაპირ შეეკითხა კრებას, ამტკიცებთ თუ არა წარმოდგენილს ანგარიშსაო. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და დაადგინა, რომ დარიგდეს დივიდენდად $12^{0}/_{0}$, ანუ თუმანზე 1 მ. 20 კაპ., ქონების გასანაღდებლად გადაიდო 1,800 მან., სათადარიგო თანხას მიემატა 800 მან. და ძირის თანხას — 800 მან.

შემდეგ ნ. წერეთელმა მიჰმართა კრებას შემდეგის სიტყვით: მე, ბატონებო, დავიღალე, დავსუსტდი, როგორც ღონით, ისე ჯიბით. ამხანაგობის საქმე ცუდად არის თუ კარგად, ამ მდგომარეობამდე მოვიყვანე. აქამდისინ იყო ძნელი, თორემ აწი ყველას შეუძლიან მისი გაძღოლა, მე-კი მეტი აღარ შემიძლიან სამსახური. ჩემი კერძო საქმეები ძლიერ დამიქვეითდა, თუმცა ზოგიერთები იმას გაიძახიან, ვითომ მე დიდი ქონება შემეძინოს ამხანაგობაში სამსახურის დროს; მაგრამ გარწმუნებთ, ორ-სართულიანი სახლები არსად არ ამიგია, და პირ-იქით დავვალიანდი კიდეც. ჩემმა მოჯამაგირემ, რომელიც მე ორის წლის წინად მიდგა, ჰიათურაში ორი ათასი მანეთის მეტი ქონება შეიძინა და მეც წავალ, ბატონო, იქ და ამდენს მაინც ვიშოვი წელიწადში.

— რამდენი მოგიმატოთ, ბატონო, რამდენი, ჰბრძანეთ, — გაისმა ხმა. შემდეგ სარევიზიო კომისიამ წაიკითხა სია, ვის რამდენი უნდა მოემატოს.

— 1500 მ. დაგვჯერდებით, ბ-ნო ნესტორ? — დაიძახა კრებამ.

ბ-ნი წერეთელი დასთანხმდა ამ ჯამაგირს (წასრულ წელში 1200 მ. ეძლეოდა). ამხანაგობის მდივანს ბ-ნ კიწმარაშვილს დაენიშნა 1000 მან. წელიწადში და თუ საზღვარ-გარეთ გაჰგზავნეს, როგორც შარშან, იმ შემთხვევაში 400 მან. მეტი (წარსულს წელს 1000 მიიღო მდივანმა, დანიშნულ 600 მ. მაგივრად). ბოლოს დიდი კამათი გამოიწვია მოლარეს მღ. პ. ცაგარეიშვილის ჯამაგირის მომატებამ. მღ. პ. ცაგარეიშვილი ცოტა მოხუცებულია (პენსიაც კი ეძლევა) და რადგანაც წელს ამხანაგობა ბევრს სხვა-და-სხვა სოფელში აარსებს პარკის საშრობ ფარდულებს და პარკის ყიდვას აპირებს, ამიტომ ზოგიერთმა წევრთაგანმა ურჩია კრებას, რომ ერთი კაცი და ისიც ხანში შესრული ვერ აუვა ამდენს საქმეს და თანაშემწეები დაენიშნოს მოლარესაო.

იოსებ ქუთათელაძე. საზოგადოდ ყველგან, სადაც აღებ-მიცემობას მისდევენ, შემოღებულია ჯამაგირების ყოველ-წლობით მომატების მაგიერად დივიდენდის დარიგება მოსამსახურეთათვის, რასაკვირველია, იმისდა მიხედვით, როგორი წარმოება იყო იმ წელიწადს და რა შრომა გასწია ამა თუ იმ მოსამსახურემ. ჩვენც ეს წესი უნდა შემოვიღოთ, თორემ ეხლავე რომ ვუმატებთ თითეულს მათგანს ჯამაგირს და ვაორკეცებთ წლიურ ხარჯს, რა ვიცით, როგორი წარმოება გვექნება. შეიძლება მომავალ წელს მთლად წავაგოთ, რაც წელს მოვიგეთ. ჩემის აზრით, აუცილებლად საჭიროა კარგისა და გამოცდილის ბუჰგალტერისა და მწერლების დაქირავება, თორემ, როგორც ეტყობა, ისინი, რომლებიც ამ ჟამად ჰმსახურებენ ამხანაგობაში, სრულიად ვერ ასწრობენ ანგარიშის რიგიანად და სავსებით შედგენას. წელსაც, მაგალითად, ისეთივე მოკლე და გაუგებარი ანგარიში წარმოგვიდგინეს, როგორიც წარსულ წლებში, თუმცა შარშან დიდი უსიამოვნება მოხდა ამის გამო ღ ყველამა ვთხოვეთ გამგეობას, უფრო ვრცელი ანგარიში წარმოედგინა კრებისათვის. კრებამ დაადგინა მიეცეს წლიურათ ხუთას-ხუთასი მანეთი მოლარეს მღ. პ. ცაგარეიშვილს, ბუჰგალტერს ი. გორდაძეს და პარკის დამხარისხებს.

იმედი

*) იხ. „ივერია" № 113.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა: უმაღლესი ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია ამიერ-კავკასიის სახაზინო მიწებზე მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა უფლებანი; უმაღლესი ბრძანება მოსკოვში 1900 წლის 1 ივლისიდგან დედათა უმაღლეს კურსების დაარსების შესახებ.

---

იტყვიან, ან რას იფიქრებენ „ნულების" საქვეყნოში, თუ-კი მან „ვიღაცაებს" თავი გაუსწორა?

ეს კარგად ესმის ჟორდანიას და „ვ. წ."-ლისთანა და თქვენ უმორჩილეს მონისთანა მოწინააღმდეგეებთან საკამათოდ მას მთელი ჯარი კლაკიორ-შინაყმეები ჰყავს...

გოგოლაძეები, ელიავეები, გ. წულუკიძეები, სტუდ. „ი. ქ.—ცეები", ს. გ—ძეები და სხ. ვინა არიან, თუ არ ბ-ნ ჟორდანიის „приживалки"-ები და „крохоборы"-ები, რომლებიც ლანძღვა-გინებითა და ბაქი-ბუქით სცდილობენ ნ. ჟორდანიის მოწინააღმდეგენი აბუჩად აიგდონ, მასხარად გაჰხადონ, მიწასთან გაასწორონ?

ეს ვაჟბატონები ერთის ვაი-ვაგლახით გამოინავარდებენ ხოლმე „კვალის" ფურცლებზედ, წყევა-კრულვით აღსავსე წერილებს (რედაქციის მიმართ მომეტებულად) წერილებზედ აცხობენ და „კვალს" უგზავნიან. „კვალი" დიდის სიამოვნებით უთმობს ადგილს, უთმობს და მისი გამგე ჟორდანია კი ხმა მაღლა აღიარებს: ერთი უყურეთ, ჩემი ლანძღვა-გინება, გაუპატიურება როგორ აღელვებს მთელს ქართველების მოწინავე, უკეთესს რაზმსაო.

„ერთის სიტყვით, ამბობს ერთს ადგილას ჟორდანია, ბ. ლალს და ხალხს შორის დიდი უფსკრულია, ერთი მხრით დგას თითონ ის თავისი კლიენტებით, მეორე მხრით კი ხალხი და „კვალი" სწორეთ ამაყობს იმით, რომ ის არ დგას პირველთა ბანაკში, ის ამაყობს იმით, რომ მან სთქვა ის, რასაც ხალხი ჰგრძნობდა, რის თქმა მას სწადდა და 16 იანვარს კიდეც გამოსთქვა. გრძნობა „კვალის" თანამშრომლების და ხალხის ამ დღეს შეერთდა და ვიმეორებ, ამით ვამაყობთ ჩვენ!!.

დიდ, რომ გრძნობა „კვალის" თანამშრომლების და ხალხის ამ დღეს შეერთდა და ამით ყველაზედ მეტად ამაყობს ბ-ნი ჟორდანია!

ან როგორ არ უნდა იამაყოს ბ-ნმა ჟორდანიამ, როდესაც გოგოლაძეები, ელიავეები, მოსკოველი „ი. ქ." სტუდენტები („ი. ქ." სოლო) „მე-102 ნული ნ. ვ—ძე", „ვ. კა—ლი", „პროვინციელი ნული", „ქართველი ექიმი", „სტუდენტი ჯაფარიძე" და კიდევ სხვა რამდენიმე წვრილფეხობა ცრემლებსა ჰღვრიან ნ. ჟორდანიის შეურაცხჰყოფისათვის, მეცნიერებისათვის წამებულად სთვლიან იმას და სულით და გულით ჰსურთ შეარცხვინონ, დედამიწისაგან აღგავონ ყველა, ვინც ამ უდანაშაულოდ წამებულს ხელს შეახებენ, ან ცუდად მოიხსენიებს?

ბ-ნი ჟორდანია ამაყობს ამ ვაჟბატონებით, მათს წერილებს დაუყოვნებლივ ჰბეჭდავს „კვალში" და მით ვითომდა მოწინააღმდეგებს ამარცხებს.., დარაჯი ლიტერატურულ ზომიერებისა, ზნეობისა და მიუდგომლობისა — ბ-ნი ჟორდანია ადგილს უთმობს გაზეთში ამ „ნულების წერილებს", რომლებშიაც, მართლა რომ ლანძღვა-გინების ქარ-ბუქია აყენებული.

მერე რადა ღალატობს ბ-ნი ჟორდანია თავისს რწმენას? რად ბეჭდავს ისეთს წერილებს, რომლებშიაც უკიდურესი თავხედობა და ლანძღვა-გინებაა?

შესაძლებელია, რომ მხოლოდ მოსაჩვენებლად, მოსატყუებლად დასტიროდეს იგი პრესის გათახსირებას, ლიტერატურულ უზნეობას, პირადობის შეხებას, თორემ გულითა და სულით თავისს ქომაგ „ნულებზედ" უარესია?

ეს „ნულები", ბ-ნ ჟორდანიის ნებართვით, აი რა მშვენიერად და მოსხლეტილად იგინებიან:

„ახალ-მოსული ეს სამი კვირაა აკლაბრული კილოთი შეუდგა ბ-ნ ჟორდანიის ნაწერების გარჩევას" (ვ. კ—ლი); „ივერიის" მწერალნი უზრდელები არიან" (პროვ. ნული); „ივერიელებთა" ბანაკი „მრაკობესების" ბანაკია" (სევ. ჯ—ლი); ბ. „ახალ-მოსული" საძაგლობის ჩამდენია იმისთვის, რომ ჟორდანიას სუსხიანად გამოეკამათა და „ეს ისეთი სისაძაგლეა, რომლის მოგონებაზე კაცს თმა ყალყზე უდგება" (დედა, დედა, რა მომხდარა!); საკვირველია რომ „რატომ არავინ ამდენხანს ხმა არ აამაღლა ამ ბოროტების წინააღმდეგ?!" (ბ-ნ ჟორდანიასთან გამოკამათება და მისი მხილება ბოროტებაა?!); ბ. „ახალ-მოსული" — მოკამათე და მამხილებელი ბ. ჟორდანიასი — მისულა უკიდურეს სულიერ სიმახინჯემდის (ვ. წულუკიძე); „ივერიაში" ახალმოსულის უწმაწური, უზრდელი და სამარცხვინო წერილები იბეჭდება; კილო ამ წერილებისა ქუჩურია; ერთის სიტყვით, ამ ნაირი კილოთი და სიტყვებით სავსე წერილებს თამამად შეიძლება სახალხოთ ლიტერატურული უზრდელობა ვუწოდოთ, და სხვა და სხვა ამ გვარი მარგალიტებია გაბნეული „კვალის" ფურცლებზედ...

ბოლოს ნებას ვაძლევ თავს დავეკითხო „კვალს" მისივე სიტყვებითა „ივერიის მიმართ ნათქვამით: „ჩვენ, ბატონებო, ჩხუბის დროსაც კი ვერიდებით ასეთს სიტყვებს და „კვალი" კი ასე მოწიწებით აწვდის მკეთხველებს. ახლა ერთი მითხარით, ზრდილობის მთხოვნელნი თუ თითონ უზრდელებია, „კვალის" თანამშრომლებს რა სახელი უნდა უწოდოთ? იმედია, ამის პასუხს „კვალი" მოგვცემს" (იხ. „კვალი", № 18, 1900).

იპ. ვართაგავა

**ტიან-ძინი.** იონსუნსა და ლოფას შუა გუშინ ღამ 4000 მომხრე „დიდის მუშტისა“ გარს შემოერტყა 500 ჩინელ ჯარის-კაცს. როგორც იუწყებიან, 500 მეამბოხე მოკლულია. არაფერი ისმის ჩინეთის ჯარის ზარალის შესახებ.

**ვაშინგტონი.** ადმირალი კემფი დეპეშით იუწყება, რომ ტიან-ძინის მახლობლად ბრძოლა მოხდა „დიდის მუშტის“ ბრბოსა და ჩინელ ჯარს შორისო. ჰფიქრობენ, რომ ხვალ დიდძალი რაზმები „დიდის მუშტისა“ ტიან-ძინთან გაჩნდებიანო.

**ვენა.** პალატა. ჩეხებმა ხმაურობა და აურ-ზაური საღამომდე არ შესწყვიტეს, რის შემდეგ პრეზიდენტმა კერბერმა, იმპერატორის ბრძანებით, გამოაცხადა, რომ სეიმი დახურულიაო.

**ბერლინი.** კრეისერთა ესკადრის უფროსი გუშინ ჩიფუდან ტაკუში წავიდა. გერმანიის რაზმს ტიან-ძინში 30 ჯარის-კაცი მიემატა.

**პოლტავა.** სკიტსკების საქმე. წაიკითხეს ლივენის ჩვენება, რომელშიაც ნათქვამია, რომ კომაროვი მეხმარებოდა განქორწინების საქმეშიო. ამ საქმესთან კავშირი აქვს ვინმე ბაბაჩუდარის საქმეს, რომელიც ამტკიცებდა სასამართლოში ლივენის ღალატს. სასამართლოში დამტკიცდა, რომ ლივენის პროცესის გამო ბევრი უცნობი კაცი ჩამოდიოდა პოლტავაში; მათი ჩამოსვლა და კომაროვის მოკვლა ერთ დროს მოხდა. სკიტსკების დამცველნი ამტკიცებდნენ, რომ კომაროვი სხვებმა მოჰკლეს და არა ძმათა სკიტსკებმაო. დღეს, 12 საათზე, სასამართლომ ეპისკოპოზს ილარიონს ჩამოართვა ჩვენება. ეპისკოპოზმა განიმეორა იგივე, რაც საქმის პირველ გარჩევის დროსა სთქვა: კომაროვმა კარგად იცოდა საქმეები, მაგრამ ფიცხი კაცი იყოო; სტეფანე სკიტსკი ძველებური მოხელე იყო, საქმები კარგად იცოდა, მაგრამ მუყაითი არ იყოო; კომაროვმა ორჯელ შეუშალა ხელი, სკიტსკის ჯილდო მიეღო და რამდენჯერმე მოითხოვა სკიტსკი გადაეყვანა ისევ სტოლის, უფროსად. სკიტსკი, რასაკვირველია, გაჯავრებული იყო კომაროვზედ და ერთხელ კიდევაც უჩივლა ჩემთანაო. რადგანაც ეპისკოპოზის წინანდელმა სიტყვებმა, რომ სკიტსკი მუყაითი მოხელე არ იყოო, ბევრი ლაპარაკი გამოიწვია საზოგადოებაში, ეპისკოპოზმა ილარიონმა წარუდგინა სასამართლოს კონსისტორიის ზოგიერთი საქმე, საიდგანაც მართლდება იმის ჩვენება. ბოლოს ეპისკოპოზმა სთქვა, რომ ბევრი მუქარის წერილები მომდის, მაგრამ მე მაინც იმას ვამბობ, რის მოვალეცა ვარო.

**ბერლინი.** საიმპერიო სიემმა დაამტკიცა ბაჟისა და გადასახადების მომატების პროექტი ფლოტის გაძლიერებისათვის საჭირო ხარჯის დასაფარავად.

**პოლტავა.** სკიტსკების საქმე. სილიჩის აარტნიორებმა, სამმა კაცმა, დაბეჯითებით განაცხადეს, რომ სკიტსკის არ უგინებია კომაროვიო. გლეხმა ბონდარენკომ სთქვა, რომ 14 ივლისს ხიდთან არაფერი საეჭვო არ შემიმჩნევია; ვნახე მხოლოდ, რომ ხიდისკენ მიდიოდა და პატარა ხანს შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა კომაროვის მეუღლე უქმროდაო. ჩვენებას ართმევენ სკიტსკაიას. ეს უკანასკნელი მოწმეა. გამოძიება დასრულდა. ხვალ დაიწყებენ ლაპარაკს ბრალმდებელი და დამცველნი.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება იელლობუმფერიდგან, რომ 23 მაისს გენერალმა ტალბსტ კუკმა დაიჭირა გორავან-ვიკი; ინგლისელებს 4 კაცი მოუკლლეს ᲓᲐ 13 დაუჭრეს. გილიარდი თავს დაესხა მტერს გასავლებს ესტასა ᲓᲐ ინკველის შუა. მტერი იძულებული გახდა უკან დაწეულიყო და თავი დაენებებინა ძლიერ პოზიციისათვის.

„Times“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან, რომ ბურების მთავრობას დიდ-ძალი სურსათი მოსდის დელაგოას ნავთსადგურითაო.

აკრიდგან იუწყებიან, რომ გუბერნატორი გამოვიდა კუმასიდგან, მაგრამ მეამბოხეთ უკუაგდეს იმისი ჯარი და ბოლოს ინგლისელები დაჰმორჩილდნენ მტერს. ახალშენთა სამინისტრო ძალიან დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ კუმასიდგან ერთი თვე იქმნება, არავითარი ამბავი არ მოსულა.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან, საფრანგეთის ელჩს აცნობეს, რომ საფრანგეთის კონსული იანცეში და საფრანგეთისავე აგენტი იუნანფუში იძულებულნი გახდნენ ამ ქალაქებიდგან წასულიყვნენ, რადგანაც ვიცე-კოროლმა გამოუცხადა მათ—ველარ შევიძლებ თქვენს დაფარვას აჯანყებულთაგანაო. „დიდის მუშტის“ ბრბომ დასწვა რუსეთის სამლოცველო იუნტინგანში, პეკინიდან ჩრდილოეთით 35 მილის მანძილზე.

„Times“-ი ამბობს, რომ ინგლისი დაუყოვნებლივ უნდა შეთანხმდეს რუსეთთან ჩინეთში უწესოებათა მოსასპობადაო.

**ლონდონი.** კელი-კენნი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ ბურების რაზმმა, 2000 კაცისაგან შემდგარმა, დასწყვიტა ტელეგრაფის მავთულები კრონშტადტის ჩრდილოეთითაო.

**ტიან-ძინი.** უცხოელთა წინააღმდეგ ამბოხება ისე გაძლიერდა, რომ ვიცე-კოროლმა გამოაცხადა: აღარ შემიძლიან დავიცვა უცხო-ქვეყნელნიო. ამის გამო საფრანგეთის ელჩი აგენტებითა და მისსიონერებით პეკინში წავიდა. ასევე მოიქცა მონძეში მყოფი საფრანგეთის წარმომადგენელი. ჩინეთის მთავრობას შეატყობინეს, რომ ის პასუხის მგებელი იქმნება საფრანგეთის წინაშე, თუ ფრანგებს უბედურება რამ შეემთხვათ; ჩინეთმა უნდა დაიცვას ფრანგნიო, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით საფრანგეთი ეცდება ამისთვისაო.

**ლონდონი.** ტიან-ძინიდგან იუწყებიან, რომ უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა პეკინში გადასწყვიტეს მოითხოვონ აუდიენცია ჩინეთის იმპერატორთან და იმპერატრიცასთანაო.

ლუ-სეხანის რკინის გზაზე, როგორც ისმის, აჯანყებულთ გაუფუჭებიათ ლიანდაგი 50 მილის მანძილზე; სადგურები დაუქცევიათ.

**პეტერბურგი,** 26 მაისი. ბირჟა. 5 პროცენტიანი გირავნობის ფურცლები ტფ. სათავად-აზნ. ბანკისა—98 გამყიდვ., $4^{1}/_{2}\%$—$86^{7}/_{8}$ გაყიდულია; $6\%$ ქუთ. სათ.-აზნ. ბანკისა—102 გამყიდვ., $5\%$—99 გამყიდვ.

28 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჩარიცხულ იქმნა ლეიბ-გვარდიის საპიორთა ბატალიონში.

„Сынъ Отечества“-ს რედაქციამ გამოაცხადა, რომ ამიერიდგან ვსპობ გაზეთის გამოცემასაო.

**ტიან-ძინი.** ახლად გამოცემულ იმპერატორის ედიკტში გამოთქმულია ქება „დიდის მუშტისა“ და განკიცხულია მოქმედება იმ ჩინელებისა, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ „დიდ მუშტს“ და ჰხოცავდნენ მათს მომხრეებსა.

**შანხაი.** ტაუნ-გჩაო დაიწვა; მისიონერები გადარჩნენ.

**ნიუ კესტლი.** ბულლერმა მისცა რა წინადადება ბურებს დამორჩილებოდნენ ინგლისელებს, შესწყვიტა ბრძოლა სამ ს დღით.

**ვაშინგტონი.** გემი „ნაშვილი“ წავიდა ტაკუში. გემზედ ზღვაოსანთა რაზმია.

**რომი.** სამხედრო გემი „ფირამოსკა“, რომელზედაც ადმირალი კანდიანია, წავიდა ჩინეთში.

**ტრიესტი.** ქედივი ვენაში წავიდა.

**ლორენცო-მარკეზე.** მოვიდა ტრანსვაალის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

29 მაისი

**ასტრახანი.** კასპიის ზღვაში საშინელი ღელვა ამოვარდა. დაიღუპა მეთევზეთა ნავები. ჯერ-ჯერობით 10 დამხრჩვალის კაცის გვამი ჰპოვეს.

**ტიან-ძინი.** აქ მოვიდნენ გერმანიის გემების ზღვაოსანნი. ტაკუში მივიდა 50 ინგლისელი და 30 რუსი ჯარის-კაცი. როგორც პეკინიდგან იუწყებიან, საქმე ცუდად მიდის; დახმარება საჭიროა. გენერალმა ნიეშმა ბრძანება მიიღო, დაიცვას რკინის გზა, ხოლო თუ შესაძლებელი იქმნება უძალ-მომრეოდ გაჰფანტოს „დიდის მუშტის“ ბრბონი. გენერალი გაჰკიცხეს მეამბოხეთა მოკვლისათვის. ჯილის ვიცე-კოროლმა სთხოვა იმპერატრიცას, ნება დართოს უცხო-სახელმწიფოებს ისარგებლონ რკინის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში არეულობანი აუცილებელიაო. „დიდი მუშტი“ თანდათან იზრდება და ვრცელდება. ათასობით მიდიან იანცუნში ნიეშის ჯარს შემოსარტყმელად ან აქ მოსასვლელად. რკინის გზა ლოფუში დაქცეულია 33 მილის მანძილზედ. ზარასკვეს აქ 111 ფრანგი ზღვაოსანი მოვიდა; თან ერთი ზარბაზანი მოიტანეს.

**პარიჟი.** იუწყებიან, რომ მთავარშტაბის უფროსი დელუნე სამსახურიდგან გადადგა მთავარ-შტაბში მომხდარ ცვლილებათა გამო.

**პოლტავა.** კიევის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულმა სავრებულომ სკიტსკები მართლად იცნო.

**პარიჟი.** პეკინში მყოფი საფრანგეთის ელჩი დეპეშით იუწყება, რომ პეკინსა და ტიან-ძინს მახლობლად საქმე უწინდელზე ცუდად არისო. რადგანაც ჩინეთის მთავრობა უარს არის და ზომებს არ იღებს მეამბოხეთა დასასჯელად, უცხო-სახელმწიფოები თანხმობით მოქმედებენო.

**ტიან-ძინი.** პეკინში უცხო-სახელმწიფოთა ჯარის 1,500 კაცამდე იქმნა გაგზავნილი ორის მატარებლით.

**კაპშტადტი.** როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი იუწყებიან, გონინგსპრუიტთან მყოფმა ბურებმა დააქციეს რკინის გზის ლიანდაგი ამერიკა—სტეშიონისა და სოლდევალს შუა.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება, რომ მტერმა თავი მიანება მაგარს პოზიციასაო. იგი ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრისაკენ წავიდა. ინგლისელებს ორი კაცი მოუკლეს და 11 დაუჭრეს.

**გონკონგი.** გონკონგის რაზმის 250 კაცმა და 200 ფუზილერმა ბრძანება მიიღეს ჩრდილოეთისკენ წავიდნენ. ამ ბრძანებას „დიდის მუშტის“ აჯანყებასთან აქვს კავშირი. წასულის ჯარის ნაცვლად გონკონგში ინდოეთის ჯარი მოვა.

**ლიხტენბურგი.** გენერალ გენტერის მოწინავე ჯარმა ვინტერსდორპი დაიჭირა.


# განცხადებანი

შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

## საბჭო

აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვინც განცხადება შეიტანეს და ითხოვეს, ჭიათურის სადგურზედ ბაქანი დაგვითმეთ შავი-ქვის საწყობადაო, რომ თანახმად მე-4 §-სა შავის-ქვისათვის საწყობ სადგომებისა და ვაგონების განაწილების შესახების დროებით წესებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ცირკულიარით შემოღებული 18 მარტს 1900 წელს, მათ უნდა კავკასიის სამთო გამგეობისაგან წარმოადგინონ მოწმობანი იმისა, რომ ქვა მადნების დამუშავების უფლება აქვთ, ამასთან აღნიშნონ რაოდენობა დამუშავებულ ქვისა (ეს რაოდენობა 30,000 ფუთზედ ნაკლები არ უნდა იყოს), ან სამრეწველო მოწმობა პირველის ხარისხისა. ეს მოწმობანი უნდა წარედგინოს შავის-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს ან ვაგონებისა და ბაქანების გამნაწილებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამა წლის არა უგვიანეს

**15 ივნისისა.**

ამასთან კრების საბჭო წინდა-წინვე აცხადებს, რომ იმათი განცხადებანი, ვინც ზემოდ დასახელებულ მოწმობებს არ წარმოადგენს, სულ არ იქმნება განხილული. (3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ, იმის თანადასწრებით, 1 ივნისს 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა კახეთისა და ლაზარევის ქუჩების მოკირწყვლის საქმე. სულ მოსაკირწყლავია 1100 ოთხ-კ. საჟ., 2750 მანეთისა.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, შეუძლიან პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯოს ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9—დგან 3 საათამდე. 3—6.—2)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **ქუჩუდავთა ლეღლებანი**

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე-X** საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара,** ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи,** ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви,** ფ. 40 კ.

(20—უ.—5)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—10)

*Отъ конторы газеты*

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ будетъ возобновлено

**СЪ 18-ГО АВГУСТА НАСТОЯЩАГО ГОДА.**

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшіяся за конторой деньги, будутъ получать газету БЕЗЪ ДОПЛАТЫ съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 к. Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Об.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**Для пріема подписки и объявленій контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ, отъ 6 до 7 час. вечера.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე